

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

10 მარტი 2021 წელი
15: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე, თამარ შენგელია, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/*დანართი N1*/

მოწვეული პირები: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობის თაობაზე.

მომხს: გელა ჩიკვაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15624,8 ათასი ლარის, გადასახდელები 16948,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1324,1 ათასი ლარის მოცულობით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

/დანართი N2/

გადაწყვიტეს: კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის დასამუშავებელი და გასასწორებელი, რომელსაც წარმოგიდგენთ მომდევნო კომისიის სხდომაზე.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი გადაიდო მომდევნო კომისიის სხდომისთვის.

/დანართი 3/

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და

სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხის მიმართ შექმნილია სამუშაო ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით, რომლებიც მუშაობენ საკითხის მიმართ, მზად არის პროექტის მონახაზი და წარმოგიდგენთ უახლოეს კომისიის სხდომაზე.

/დანართი N4/

გადაწყვეტეს: წარმოდგენილი საკითხი გადაიდო მომდევნო კომისიის სხდომისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაიძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე